



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული  
სააგენტო**



KA020171248822222

**თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30**

**ბრძანება № 1254/ს**

**03 / ნოემბერი / 2022 წ.**

**ფ/პ კახაბერ თოდუაზე (პ/ნ 29001006989) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1004938 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 02 ოქტომბრის N1576/ს ბრძანების საფუძველზე, ფ/პ კახაბერ თოდუაზე გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1004938 ლიცენზია (25 წლის ვადით), ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე, ბუკიას ქუჩა N 21 ა-ში, (ნაკვ. N 1-1-1-1)/ბუკიას ქუჩა N 21-ის სამხრეთით, (ნაკვ. N 2-1) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის N2047 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დასტურდება ფ/პ კახაბერ თოდუას გარდაცვალების ფაქტი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების პროცედურების გატარებამდე, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ფ/პ კახაბერ თოდუას მემკვიდრის დადგენის მიზნით.

ადმინისტრაციული წარმოების მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 ივლისის დადგენილებით (საქმის N4/6776-19), ფ/პ კახაბერ თოდუას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო. დადგენილებაში მითითებულია რომ კახაბერ თოდუას გარდაცვალების თარიღია 2018 წლის 30 ივლისი (გარდაცვალების მონობა N 68187005346).

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2021 წლის 27 აპრილის N16/4823 წერილით წარმოდგენილი დანართის საფუძველზე, დადასტურებულ იქნა ფ/პ კახაბერ თოდუას გარდაცვალების ფაქტი და წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მისი მემკვიდრეების თაობაზე (ხათუნა დანელია, თორნიკე თოდუა, მარიამ თოდუა. რამაზი თოდუასა და ნანა ჯალაღანიას მიერ განხორციელდა სამკვიდრო მიუღებლობის ფაქტის დადასტურება).

სააგენტოს 2021 წლის 13 ოქტომბრის N22/7164 წერილით, ფ/პ კახაბერ თოდუას მემკვიდრეებს: თორნიკე თოდუას, მარიამ თოდუას და ხათუნა დანელიას განემარტათ, რომ მათ აქვთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება. მათ განესაზღვრა 10 სამუშაო დღე, სააგენტოში გამოცხადებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებული მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

გემოლნიშნული წერილი გაგზავნილ იქნა რეგისტრირებულ მისამართზე და ჩაბარებულ იქნა 2021 წლის 21 ოქტომბერს თუმცა წერილის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მემკვიდრეები არ გამოცხადებულან სააგენტოში, უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობითაც, მათ არ მოუმართავთ სააგენტოსთვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით მიღების მოთხოვნით.


ყოველივე გემოლნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, ფ/პ კახაბერ თოდუაზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით, თუმცა მემკვიდრეების მხრიდან ინტერესი არ იქნა გამოვლენილი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7<sup>5</sup> მუხლის 1<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 02 ოქტომბრის N 1576/ს ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ კახაბერ თოდუაზე გაცემული N1004938 ლიცენზია, ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე, ბუკიას ქუჩა N 21 ა-ში, (ნაკვ. N 1-1-1-1)/ბუკიას ქუჩა N 21-ის სამხრეთით (ნაკვ. N 2-1) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი